# დროება

ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 134 პარაკეკი, 19 ივნისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» ხურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები [illegible] და მცირე წერილებს და კორესპ[illegible] ბავს. ინახება ერთის თვით მჩოლოდ [illegible] მოთხოვნებები. პირადად [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოდღეის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეშე ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



# დროება

**ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული**

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ.,ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.**

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.



კვირას, 21 ივნისს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მეორე სახელმწიფო საათბიროს ყოფილ დეპუტატის

## არჩილ ლევანის ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის თავზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს განსვენებულის მეუღლე **იულია ნიკოლოზის ასული და მშობლები.** პანაშვიდი დაიწყება **შუადღის 12 საათზე.** (3—3)



## ძმ. ზუგალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 21 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**პირველად ახალი პიესა:**

## ჰოზრიანი ტორტლა

პიესა 4 მოქმ. ვილდენბრუნისა, თარგ. ს. ტ—სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

ბილეთები გაიყიდება თეატრის კასსაში დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აღკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**



ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ღამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვრისა და ყურისა.

გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომაროელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. **ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყოვლის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

(წლ.—ნ.—88)



**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოფლანოვის ქუჩა, საგუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 91)



**ექიმი** კბილისა ალ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრეს. N 12. სახლი მდივანისა. (უ)



# გამგეობა

**ქვირილის საერეონეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა,**

ამით აცნობებს და სთხოვს ბ-ბ. წევრთ, დაესწრონ საგანგებო საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია 5 ივლისს ამა 1909 წელს დილის 9 საათისათვის ბანკისავე შენობაში 10% საწევრო თანხის 20% გადიდების და წესდების გაფართოვების შესახებ. თუ ვინიცობაა კრება არ შესდგა, ხელ-მეორე კრება დაინიშნება 19 ივლისისთვის, რაზედაც განმეორებით **არავის ეცნობება.** (3—ნ.—3)



**ექიმი** მ. ნ. **მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბრეტსეს ქუჩა, N 11. (75—105)



**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ნუთაშაბოფ-ბით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაბოთი ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)



ძმ. **ზუბალაშვილების**

## სახალხო სახლი

პარასკევს, 19 ივნისს სცენის მოყვარეთა მიერ ქ-ნ ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ. ი. ივანიძის მოსწავლეებით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა

## „ორი ოგოლი“,

მელოდრამა 5 მოქმედებად და 8 სურ. მოსწავლეებმა იღებენ (ალფავიტით): ქ-ნნი ანკარა, ბერიძე, გაბუნია-ცაგარლისა, მარგველაშვილი, მარგარიტა, კავთელი; ბ-ნნი გელია, ოგანა, ივანიძე, მეტრეველი, მელიქიშვილი, მანჯავიძე, ნანდოელი, სალაყაია, ჯანკვეტაძე და სხ.

მადამ ფრიშარის როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ქაკისას—ბ. **ი. ივანიძე.**

ადგილების ფასი 45 კაპ.-დან 1 მან.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათ.**

(3—3) რეჟისორი **ი. ივანიძე.** ადმინისტ.-რი **ლ. ხანდოელი.**



## ყვირილა

**ქართველთა შორის წერა-კითხვის ადგილობრივი განყოფილებაში**

აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მწევრად ჩაწერა და სამი მანეთის შემოტანა, უნდა მიმართოს წიგნთ-საცავ სამკითხველოში. (3—302—1)



**გამოვიდა პირველი, მეორე და მესამე ნომერი** სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის

## „მოსავალი“-სა

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ) წელიწადში ჟურნალი ღირს—3 მ., მდგომარე წლის პირველ ივნვარამდე—2 მ., ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად —10 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და დებეშებისათვის: Тифлисъ, „Мосавили“, Бараты́нская, 5.

(7—ნ.—3)



**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ფლგას ქუჩა N 25. (უ)



**ექიმი** ვ. **ღამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხა ღამოთით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ


**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა** აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში —იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—ნ.—6)

**◀ სოფელ ▶**

## ქვემო მაჩხაანის

**დეპრეს**

სალიკვიდაციო კომისია მეორედ იწვევს წევრთ ამ თვის 28-ს კომისიის ანგარიშების ჩასაბარებლად.

კომისიის თავმჯდომარე **ა. ნადირაძე.**

(2—შ.—2)

დაიბეჭდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემანი „ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებისა“

1. **ილია ჭავჭავაძის**
## პრესტიკული ბერილები
ფასი 25 კაპ.

2. **ილია ჭავჭავაძის**
## ცხოვრება და კანონი
ფასი 25 კაპ.

იბეჭდება მისივე „პოლემიკური წერილები“ (კატკოვის პასუხად, პოლემიკა იანოვსკისთან და სხ.).

მზადდება დასაბეჭდად „აი ისტორია“ და სხ. (5—5)


**ექიმი** ვ. ს. **მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. ბიროსნი, N 9. (უ)


**◀ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრის ▶**

სასარგებლოდ კნ. ელისაბედ ირაკლის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით, შაბათს 20 ივნისს, **თავად-აზნაურთა საზაფხულო თეატრში და ბაღში** გაიმართება

## სეირნობა, ნარმოდგენა და საკონცერტო განყოფილება

1. მალოროსთა დასი წარმოადგენს „პანნა შტუკარსკას“. 2. საკონცერტო განყოფილებაში მიიღებენ მონაწილეობას: ელეფთეროვი, სიზოვი, გუდოვი, დიღელოვი, მიქელაძე, ომიაძე, სვიმონიშვილი, ჩუბინაშვილი და ტატიშვილი.

გაიყიდება შამპანიური, ვარდები, კონფეტი; გაიმართება ფოტა ორია პროზით.

**დასაწყისი სეირნობისა 4 საათზე. — წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე.**

12 საათიდან როტონდაში გაიმართება **ევროპიული ცეკვა.**

(2—1) **დაუკრავს ბ-ნ ფალიაშვილის ორკესტრი.**


## სამანუფაქტურო საქონლის მოვაჭრეთა
## საყურადღებოდ

**ქალაქ ტფილისში, მანთაშოვის ქარვასლაში, გაიხსნა მსხვილად ზოვაჭრე სამანუფაქტურო განყოფილება**

**◀ სავაჭრო სახლის ▶**

## ე. ი. და კ. ხალათოვებისა,

სადაც ყველა მანუფაქტურისტ-ვაჭრს შეუძლიან შეიძინოს ყველა პირობითა და იაფად ყოველ გვარი სამანუფაქტურო საქონელი. ხსენებულ ტფილისის გაწყოფილებაში დიდ-ძალი საქონელია თავმოყრილი.

**შემკვეთილი საქმე სრულდება ხელად და რიგზე.**

(5—ხალ.—2)


## ტფილისი, 19 ივნისი

საქმეთა მდგომარეობა სპარსეთში თანდათან მწვავდება. უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ მთელი ქვეყანა ამოძრავდა და დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ დიდმნიშვნელოვან ამბებს. ქვეყნის სხვა და სხვა მხრიდან შეიარაღებული ხალხი დაიძრა და სატახტო ქალაქისაკენ მიდის. მოწინავე რაზმები უკვე თეირანს მიუახლოვდნენ და დღეს-ხვალ ალყას შემოარტყმენ მას, მისწვდებიან შაჰის რეზიდენციასაც...

რევოლიუციონურ მოძრაობის ასეთი გაძლიერება და ხალხის ესოდენი აღელვება პირდაპირი შედეგია და საუკეთესო პასუხი იმ საზარელ კონტრ-რევოლიუციისა, რომელიც შაჰმა გამოიწვია და იმ რეაქციონურ, ანტინაციონალურ პოლიტიკისა, რომელსაც შაჰი აწარმოებდა კონტრ-რევოლიუციის დღეებიდან. თავშივე ცხადი იყო, რომ ის, ვინც მეჯლისს ზარბაზნები დაუშინა, ვინც კონსტიტუციონალისტები უმოწყალოდ ამოჟლიტა, „რევოლიუციის უკიდურესობათ“—კი არ ებრძვის, როგორც ამას საჯაროთ ამბობდა, არამედ თვით ახალ წესწყობილებას, კონსტიტუციას. მისი უექველი განზრახვა იყო ძველის რეჟიმის დაბრუნება,—დაბრუნება იმ აზიურ დესპოტიურ წესწყობილებისა, რომელიც განუსაზღვრელ ბატონობის და ბრძანებლობის პროგრამატივებს აძლევს თვითმყრობელსა და მის ახლო მდგომ კამარილიას. სასტიკი და საზიზღარი ფორმა კონტრრევოლიუციისა და მთელი შემდეგი პოლიტიკა შაჰისა უტყუარად მოწმობდნენ, რომ ამ ბრძანებელს და მის დამქაშთ სრულიადაც არ აინტერესებთ თვით ქვეყნის სვე-ბედი, ოღონდ მათი განუსაზღვრელი ბატონობა იყოს უზრუნველყოფილი. შაჰს ეგონა, რომ ერთის დაკვრით, ერთის იერიშით ძირიან-ფესვიანად ამოაგდებდა რევოლიუციას, მაგრამ, როცა ამაში მოსტყუვდა, როცა იგემა ადერბეიჯანის და ზოგ სხვა პროვინციის აჯანყება, მაშინ პირდაპირ ბრძოლას სხვა გზა ამჯობინა: ხალხის მოტყუება საკონსტიტუციო დაპირებით, ამით დროს მოგება და ამასობაში უცხოელთა ჩარევის გამოწვევით თავის განზრახვის ასრულება. სპარსეთის კამარილიამ არ იკმარა მარტო ლიახოვის დახმარება, მან შეთხზა ვერაგული გეგმა: უცხოელთა დამსჯელი რაზმები შემოეყვანა და თავის ქვეყნის აოხრება დაევალებინა მათთვის, რათა ხალხის ნაოხარზე ძველი დესპოტიის კედლები აეგო ისევ. თავრიზის მიდამოებში შაჰის ერთგული ჯარები და აგენტები უცხოელთ სძარცავდნენ და ავიწროებდნენ, რათა ამით სხვა სახელმწიფონი აეძულებინათ სპარსეთის შინაური საქმეებში ჩასარევად. ასეთ გეგმის შემთხზველთ, რასაკვირველია, თავისი ქვეყანა და თავისი ხალხი განწირული ჰყავთ: თუ ჩვენს ბატონობას ძველებურად ვერ აღვადგენთ, ქვა-ქვაზედაც ნუ ყოფილაო!..

მთელის მოწინავე სპარსეთისათვის, თვით უზომიერეს ელემენტებისათვის ცხადი შეიქმნა, რომ ასეთ მბრძანებელთან კომპრომისი აღარ შეიძლება. როგორც შეუძლებელი იყო კომპრომისი ოსმალეთის სულთანის აბდულ-ჰამიდის და ახალგაზდა ოსმალთა შორის 31 მარტის კონტრ-რევოლიუციის შემდეგ, ისე სპარსეთის შაჰის პოლიტიკამ შეუძლებელ-ჰყო ხალხთან შერიგება და აი—ხალხიც ამოძრავდა და პირდაპირ მტარვალის შესაპყრობლად გაემართა.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ სპარსეთის რევოლიუციონერები ისე ადვილად, ისე მწყობრად და სწრაფად ვერ აასრულებენ საქმეს, როგორც ეს ახალგაზდა ოსმალებმა მოახდინეს. ამათ ორის კვირის განმავლობაში ისეთი ძლიერი ჯარი დააყენეს-საომარ ფეხზე, რომ არა თუ სულთანის მომხრე მხედრობას, ევროპის ყოველ სახელმწიფოს ჯარსაც შესაფერ პასუხს გასცემდნენ. ამიტომ არავინაც არ გარეულა მათ საქმეში, თუმცა ევროპის ზოგ ბრძანებელს ძალიანაც ჰსურდა აბდულ-ჰამიდის დაცვა. სულ სხვა მდგომარეობაშია სპარსეთი. იქ უცხოელთა ჯარი უკვე სდგას და მარტო ამას შეუძლია დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს სპარსეთის ნაციონალისტთა ირეგულიარულს მხედრობას. სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის უბედურება ისაა, რომ უცხოეთის ჩარევა ვერ აიშორეს თავიდან. სახელმწიფოს სისუსტე უადვილებს გარეშეებს, ჩაერევნენ შინაურ საქმეებში, ნამეტურ როცა ამასვეა მოწადინებული თვით ქვეყნის მთავრობა. ბოლო დროს სპარსეთის ნაციონალისტებს იმედი მიეცათ, რომრუსეთის ჯარი გავა ქვეყნიდან, მაგრამ გუშინდელი ცხობა უცხოელ დიპლომატების ყოყმანის შესახებ გვეუბნება, რო მშეიძლება ეს არ მოხდეს და, პირ-იქით, შესაძლებელია, გენერალ სნარსკის ექსპედიციას ახალი მიხდობილება მისცენ. მა მინ ხალხის მდგომარეობა უფრო გამწვავდება. მთელი პასუხისმგებლობა ამ შეთხვევაში იმავ კამარილიასა და დესპოტს დაეკისრება, რომელთა მეცადინეობამ, რომელთა უკეულმართმა პოლიტიკამაც გამოიწვია ესოდენი სამწუხარო, სავალალო და დიდათ მავნებელი შედეგი...


## ივარგება ნახევარი მილიონი!

**(ივერიის ეკკლესიის გულშემატკივართა საყურადღებოდ)**

ტფილისის სასულიერო სემინარია თითქმის უკვე გადაბარგდა ძველ შენობიდან ახალში, კიდევ რამდენიმე დღეც—და შეიძლება ღირსეულად აღასრულონ უწმინდეს სინოდის განკარგულება ძველ შენობის შესახებ. ძველი შენობა ერევნის მოედანზე ან გაიყიდება და სინოდი საქართველოს ეკლესიის საკუთრებიდინ ერთბაშად აინაზღმურებს სემინარიის ახალ შენობაზე დანახარჯს, ან ეს შენობა იჯარით გაიცემა და სინოდი, რასაკვირველია, „კანონიერ სარგებლითურთ“ ნელ-ნელა მიიღებს თავის დანახარჯს. ორსავე შემთხვევაში უწმ. სინოდი უსათუოდ მოგებაში დარჩება, საქართველოს ეკლესია კი ფრიად წაგებული, რადგან უკანასკნელმა ნება-უნებლიეთ უნდა შეისყიდოს სემინარიისათვის ის შენობა, რომელიც მან თავის სამღვდელოების პირით რამდენჯერმე დაიწუნა და და რომელშიაც, როგორც ეს ძველ შენობაში იყო, მხოლოდ ნახევარი ადგილი თუ ერგება ქართველობას. დანარჩენს რუსები, ბერძნები, აისორები, უდინლები და სხვა და სხვა „სამისიონერო მიზნით პატივსადები პირები“ დაიჭერენ. არსებულ კანონების ძალით, სინოდი ვალდებულია ყოველ ეპარქიაში საერთო სასულიერო-სამოსწავლო თანხიდან შეინახოს თითო სემინარია, გარდა პარალელურ კლასებისა, რომელიც იხსნება სამღვდელოების სურვილით და ინახება მისის ხარჯით. ამის და მიუხედავად, მთელს ამიერ-კავკასიაში ოთხივე ეპარქიისათვის ერთადერთი სასულიერო სემინარია არსებობს და ამ სემინარიისათვის შენობის შესყიდვას უწმ. სინოდი, როგორც ვხედავთ, მარტოდ-მარტო ქართველებს ავალებს.

რა უფლებით? რისთვის გადააქვთ ჩვენი სემინარია ჩვენგან დაწუნებულ შენობაში? ჩვენდა დაუკითხავად რა საფუძვლით ჰყიდიან ან იჯარით იძლევიან ჩვენს შენობას? რომელ კანონის ძალით გვახდევინებენ ნახევარ მილიონ მანეთს, რომლის შესახებ ჩვენ არავითარი ვალდებულება არ მიგვიღია ჩვენს თავზე? ეკითხება თავს ყველა, მაგრამ ვერავითარი პასუხი ვერ უპოვნია გარდა იმისა, რომ „ასე ბრძანესო„.

მერე ჰქონდა კია სინოდს უფლება გაეცა ასეთი ბრძანება? რასაკვირველია, არა სინოდი ამ შემთხვევაში მხოლოდ მოდავე მხარეა, რომელსაც საერთო სასულიერო-სამოსწავლო თანხიდან ერთ-ერთ სემინარიის ნაგებობა ეკუთვნის. ეს ნაგებობა ეკუთვნოდა ეპარქიას, ეს ეპარქია ეკუთვნოდა ეპარქიას, ეს ეპარქია ეკუთვნოდა ეპარქიას, ეს ეპარქია

სიის დამოუკიდებლობის უკანასკნელ აჩრდილს და საქართველოს საეკლესიოს რუსეთის ყალიბზე ეპარქიებად დაჰყოფს. მას განუზრახავს არსებობის სახსარიც კი წაართვას წვრილ ერთეულებად დაქსაქსულ ივერიის ეკკლესიას და ეჩქარება მოაშოროს მას უკანასკნელი მისი განძი—ძვირფასი შენობა, რომლის საშუალებითაც ბევრი განმანათლებელი მოთხოვნილება შეეძლო დაეკმაყოფილებინა ჩვენს ეკკლესიას. ნამდვილი პატრონები კი ამ განძისა დროთა ვითარების წყალობით იძულებულნი არიან სდუმდნენ.

მაგრამ ვინ არის ნამდვილი პატრონიო,—შეიძლება იკითხოს ვინმემ, რომელმაც დაწვრილებით არ იცის საქმის ვითარება. ზოგიერთებს ასეთ პატრონათ ჰგონია აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი სამღვდელოება. ეს აზრი შეცდომაა. ამ შენობის პატრონი და მესაკუთრე არც ქართლ-კახეთის სამღვდელოებაა და არც მთელი ქართველი სამღვდელოება. ეს შენობა ეროვნული საკუთრებაა ერთობ საქართველოს ეკკლესიისა, იგი ეკუთვნის მთელ ქართველ ეროს. ის ნაყიდია საქართველოს საეკკლესიო ხაზინის ხარჯით და რადგან ჩვენს საეკკლესიო ხაზინას შეადგენს ის შემოსავალი, რომელ'აც იძლევა სახელმწიფო ხაზინა მორწმუნე მამაპაპათაგან შემოწირულ დადღეს უკვე სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გადასულ მამულების ნაცვლად, სემინარიის ძველი შენობა დღეს ეკუთვნის არა რომელსამე ნაწილს ივერიის ეკკლესიისას, არამედ მთელ სამოციქულო ივერიის ეკკლესიას (და არა საყდრებს) და მხოლოდ ოთხივე ეპარქიის კანონიერად არჩეულ წარმომადგენელთ შეუძლიანთ ამ შენობის დანგრევა თუ აშენება, იჯარით გაცემა თუ სამუდამოდ გაყიდვა. მაგრამ ვინაიდან ამ დროში საერო წევრთა წარმომადგენლობა თითქმის სრულებით განდევნილია საეკკლესიო საქმეების მართვა-გამგეობიდან და საეკკლესიო არჩევნითი უფლება მხოლოდ ახლა იკიდებს ჩვენში ფეხს, მთელ ქართველ სამღვდელოებას მაინც უსათუოდ უნდა ეკითხოს ივერიის ეკკლესიის განძის, სემინარიის ძველ შენობის მომავალი ბედი.

მაშასადამე, ამ შენობის იჯარით გაცემის თუ გაყიდვისთვის აუცილებლად საჭიროა ოთხივე ეპარქიის სამღვდელოების კრებათა თანხმობა. ეს სულ უმცირესი მოთხოვნილებაა კანონიერებისა და წესიერებისა. ამ საერთო თანხმობის თვინიერ ვერც ერთი ეპარქია ცალკე და ვერც სინოდი მით უმეტეს ვერ გაჰყიდის და იჯარითაც ვერ გასცემს ხსენებულ შენობას და ყოველივე აქტი მის შესახებ, საერთო თანხმობის გარეშე დადგენილი, უკანონო და ნაძალევი იქნება. ეს ხომ ასეა, მაგრამ რომ ქმრთველ სამღვდელოების იძულებული დუმილი თანხმობის ნიშნად არ მიიღონ და უკანონო აქტმა ხანგრძელობისაგან (давность) კანონიერი სახე არ მიიღოს, საჭიროა თავის უფლების წამოყენება, საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ხმის ამოღება. წინააღმდეგ შემთხვევაში სულ უკანასკნელი ნახევარი მილიონი მანეთი მაინც დაგვეკარგება.

**ახელი.**

# დეპეშები

(„პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან")

18 ივნისი

### საზღვარ-გარედ.

**ლივერპული** (ინგლისი). 16 ივნისს დილით რუსის სათათბიროს და საბჭოს წევრნი ლივერპულის უნივერსიტეტში იყვნენ. მილიუკოვმა წაიკითხა ლექცია იმის შესახებ, რა გავლენა ჰქონდა ინგლისის ლიტერატურას რუსის ხელოვნებასა, ფილოსოფიასა და სოციოლოგიაზე. ლექტორმა აღნიშვნა აგრეთვე რუსისა და ინგლისის ხალხის ხასიათის მსგავსებაც. პერსმა საპასუხო სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, შეუძლებელია რუსებს იცნობდე და არ გიყვარდეს ისინიო. დამსწრეთ კენჭის ყრით დაადგინეს მილიუკოვს მადლობა გამოეცხადოს ლექციის წაკითხვისთვის. ტოუნ-ჰოლში საუზმე გაიმართა, წარმოსთქვეს ხელმწიფის სადღეგრძელო. სიტყვები წარმოსთქვეს ლორდ-მერმა, ზვეგინცევმა, ბობრინსკიმ, გუჩკოვმა და პერსმა. საფონდო ბირჟაში რუს სტუმრებს „ურას" ძახილით მიეგებნენ. ბირჟის თავმჯდომარე მიესალმა სტუმრებს, ლერხემ საპასუხო სიტყვით მიმართა. რუსებმა დაათვალიერეს უდიდესი გემი მთელ დედამიწის ზურგზე „მავრიტანია" და საღამოს 5 საათზე ქალაქ ედინბურგს წავიდნენ.

**მესსინა.** 16 ივნისს, ნაშუადღევს, ქალაქის ზემო ნაწილში, ნანგრევებს შორის, ძველ საპყრობილის მახლობლად, ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის ჩასაქრობად გაჰგზავნეს სალდათები, მჭრობელთა რაზმი და მატროსები, მაგრამ, ნანგრევების გამო, საქრობი მანქანები ახლო ვერ მიიტანეს. მოახერხეს მარტო ის, რომ ცეცხლი ახლო-მახლო ადგილებზე აღარ გადაუშვეს. ცეცხლი ნაშუადღევსაც არ იყო ჩამქრალი.

**კონრადი** (სამხრეთი აფრიკა). სასკაჩევანის პროვინციაში, პრინალბერტის ჩრდილოეთით ორას მილზე, იპოვნეს მდიდარი ოქროს მადნები. 62 ფუთი ოქრო ნარეევ ქვიშიდან გამოდის ათიდან ორმოცდაათი ათას მანეთის ოქრო.

**ბელგრადი.** პარლამენტის თავმჯდომარე იოვანოვიჩი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. ყოველი ფინანსთა მინისტრი მომავალ კვირას პარიზს მიდის სერბიისთვის ახალ სესხის ასაღებად.

**ლონდონი.** ინგლისის მთა-მადნის მუშათა ეროვნულმა კავშირმა ერთხმად დაადგინა კონფერენციაზე, მხარი დაუჭიროს უელსელ მთამადნის მუშებს და, თუ საჭირო იქნება საერთო გაფიცვა, მონაწილეობა მიიღოს ამ გაფიცვაში. უელსელ მუშებსა და მაღაროების პატრონებს შორის დავაა ამ ჟამად. ამ საკითხის შესახებ (მხარი დაუჭირონ თუ არა უელსელ მუშებს) მოხდება ხმების მოკრება მთელ ინგლისის მთამადნის მუშათა შორის.

სუფრაჟისტებმა (ქალთა ემანსიპაციისთვის მებრძოლი ქალები) განზრახვა ვერ აისრულეს და პარლამენტში ვერ შევიდნენ მინისტრ-პრეზიდენტ ასკვიტთან მოსალაპარაკებლად. ამას მოჰყვა ინციდენტი. პოლიციამ პარლამენტის ეზოს ალაყაფის კარები დაკეტა დააპატიმრეს ბევრი ქალი, მათ შორის სუფრაჟისტების მეთაური. პანკგერტსი, რომელმაც პოლიციის ინსპექტორს რამდენჯერმე სილა გაარტყა.

**მარსელი.** გემებზე კანტი-კუნტი გაფიცვაა. მატროსები ჩივიან, გემის პატრონები სავსებით არ ასრულებენ შეთანხმების პირობებსაო.

**ამოი** (ჩინეთი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ორი კვირის განმავლობაში შავი ჭირისაგან 197 კაცი და ქალი გარდაიცვალაო.

**ვენა.** პრაგაში დაიწყო პროცესი ეგრედ წოდებულ ანტიმილიტარისტებისა. სამართალში მიცემულია 45 ნაციონალისტი, სოციალისტი, კლოფაჩის პარტიის წევრი და ერთი აგრარი. საბრალმდებლო ოქმში, სხვათა შორის, ნათქვამია: ანტიმილიტარიზმა მშვენიერი ნიადაგი მოიპოვა ჩეხიასა და მორავიაში, სადაც ასობით შესდგა კავშირი. ბევრია კავშირის წევრი იმ ახალგაზრდათა შორის, რომელნიც სამხედრო ბეგარაში უნდა გაიწვიონ. ეს პროვინციები დაყოფილია საგლტაციო ოლქებად. თვით პრაგაში მოთავარი სეკრეტარიატია. ორგანიზაციის სათავეში იდგნენ გაზეთები, რომელნიც ათავსებდნენ მრავალ საგიტაციო წერილს და, სხვათა შორის, ქადაგებდნენ, რომ მთავრობა მტერია ჩეხიის ხალხისაო. ესევე გაზეთები ქადაგებდნენ სერბეთისა და ჩეხების ერთობა-მეგობრობას. ავიტა იას აზრადა ჰქონდა მთავრობის წინააღმდეგ ხალხის ამხედრებაო. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვამდე პროკურორმა მოითხოვა კარების დაკეტვა და ხალხის არ შეშვება. ბრალდებულთა დამცველმა, დეპუტატმა ბაკსმა პროტესტი განაცხადა. მან სთქვა—ბრალსა სდებენ არა ერთ რომელსამე პარტიას, არამედ მთელ ჩეხელ ერსაო. სასამართლომ დაადგინა, საქმე ხალხის დაუსწრებლად განიხილოს.

**ბუდაპეშტი** (ჰუნგრეთი). სამინისტრო ჯერაც ვერ შესდგა. უნდოდათ შეედგინათ სამინისტრო დამოუკიდებელ პარტიის დახმარებით. ამ აზრით წინადადება მისცეს პარტიას, მაგრამ მან უარ-ჰყო.

**სიმლა** (ინდოეთი). ქაბულიდან იუწყებიან: ავღანისტანის ემირის მამის ნასრულლ-ხანის გავლენით, მოლები რუსეთ-ავღანისტანის საზღვარზე ავრცელებენ წიგნს, რომელშიაც ნათქვამია, რომ ავღანისტანის ხელმწიფე, მაჰმადიანი, მოვალეა, თუ საჭირო იქნება, ებრძოლოს არა მაჰმადიანებსაო. როგორც იუწყებიან, ავღანისტანის ემირს უბრძანებია ჯარის მთავარ-სარდლისთვის, გაჰგზავნოს ქაბულში რაზმი. რაზმში უნდა იყოს როგორც ქვეითა, ისე ცხენოსანი ჯარი და არტილერია. ქაბულში ამ რაზმის წრვთნას შეუდგებიან ოსმალელი აფიცრები.

**ბერლინი.** პარლამენტში შეუდგენენ სოც.-დემოკრატების შეკითხვის განხილვას. ეს შეკითხვა შეეხება სურსათის გაძვირებას. მათვე შეიტანეს კანონ-პროექტი დროებით სადამოენო ბაჟის გაუქმების შესახებ შეტანილ პურზე და საქონლის საკვებზე. შეკითხვა დაიცვა ს.-დემოკრატმა მოლკენბურგმა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ყოვლად შეუძლებლად სცნო სადამოენო ბაჟის გაუქმება.

მთელ გერმანიის გლეხთა წარმომადგენლებმა 17 ივნისს დაარსეს გლეხთა კავშირი. ამ საქმეში მონაწილეობას იღებენ რამდენიმე დეპუტატი, ნაციონალ-ლიბერალური და თავისუფალ-კონსერვატიული პარტიები. კავშირს აზრადა აქვს გლეხთა ინტერესების დაცვა. ახალმა კავშირმა შეიერთა ის ელემენტები, რომელნიც სამიწათ-მოქმედო საქმეში არ ეთანხმებიან უკვე არსებულ სოფლის მეურნეთა კავშირს. ახალ კავშირში მრავლად შევიდნენ მცხოვრებნი პოზნანისა და დასავლეთ-პრუსიის პროვინციებისა. პირველი დიდი კრება კავშირისა მოხდება გნეზენში. ახალ კავშირს გერმანიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ფიქრობენ, რომ ახალ კავშირის დაარსება კანცლერის ბიულოვის პოლიტიკის სასარგებლო მანიფესტაციაო.

**ლონდონი.** 10 საათამდე დააპატიმრეს 108 სუფრაჟისტი ქალი. სამი დაშავებული სუფრაჟისტი საავადმყოფოში წაიყვანეს. მანიფესტანტებმა ქვებით ფანჯრები ჩალეწეს საადმირალოში. პარლამენტის წინ 1500 პოლიციელს მოუყარეს თავი.

### რუსეთი

**კუნგური.** მოგვლეს საქციზო მოხელე, რომელიც სოფლებიდან ქვდაქში ბრუნდებოდა. მძიმედ დასჭრეს საერობო დარაჯი. თავდასხმელებმა გაიტაცეს ფული და მიიმალნენ.

**კიევი.** სოფელ ბერეზნიაკაში, ორის უახლეს დაპატიმრების დროს, ურიადნიკს უუმბარა ესროდეს. ურიადნიკმა მოკლა ერთი ახალი, მეორე გაიქცა. ამოვნეს მეორე უუმბარა.

**პეტერბურგი.** სასახლის მინისტრის დეპეშა: „17 ივნისს დიდით შვეიცარიიდან დაბრუნდნენ ხელმწიფე-იმპერატორი და დედოფალი".

მინისტრთა საბჭო სახელმწიფო საათბირაში შეიტანს კანონ-პროექტს, რომელითაც ტუსაღებს სასჯელის გაადხილაში ჩაეთვლებათ ის დრო, როდესაც საქმის გარჩევამდე საპატიმროებში გაატარებენ. მეორე კანონ-პროექტით უნდა შეიცვალოს კოდიკეთა ბრალდებისა და კანონიკების დანიშვნის წესი.

**კრონშტადტი.** 15 და 16 ივნისს ხოლერით ავად გახდა ორი კაცი. საავადმყოფოში სამი კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** დაიწყო კრებები სოფლის ატამანების და სამხედრო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა განიხილოს აზახების საქმე. აზახებს საერთოდ აქვთ 1,062,241 დესეტინა. ზრდა აქვთ ამ მიწიდან გაჭირვებულ აზახებს 1,023,345 დესეტინა დაურიგონ.

**პინსკი.** პინსკსა და ტუროვის შუა საქონლის გემი „დეონი" დაეჯახა სამგზავრო გემს „სოფიას". „სოფია" დაზიანდა. ერთიან დალუშულა. ადამიანთა მსხვერპლი ჯერ-ჯერობით არ ყოფილა.

**პეტერბურგი.** დღე-დაღამეში ხოლერით ავად გახდა 87, გარდაიცვალა 28 კაცი. საავადმყოფოში 574 კაცია.

**ნოვგოროდი.** კრესტეცკის მაზრაში გარდაავადა ხოლერიანი მუშა. ეს მუშა პეტერბურგიდან მოვიდა.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **მუშების დათხოვნა რკინის გზაზე.** როგორც ვწერდით, დეპოსა და სახელოსნოების მუშებს ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველომ აცნობა, რადან სამუშაო შემცირდა, თქვენ თითონვე შემოიტანეთ სამსახურიდან გასვლის განცხადებანი. თორემ ჩვენის ნებით გამოვარჩევთ მუშებს და დავითხოვთო. რადგან წესით ათი წლის სამსახურის შემდეგ შეუძლიანთ წასვლისას მიიღონ რაიმე დახმარება, ამიტომ მუშები შეეკითხნენ რკინის გზის უფროს: მუშებს მთელი სამსახურის დროდან გაფიცვისა ან სამხედრო ბეგრის მოხდის დროს ხომ არ გამოერიცხებათო. მუშებს აცნობებს, რომ მათ 6 თვის გაფიცვის დროც-კი ჩაეთვლებათ სამსახურში. მუშებს ისიც აცნობეს, ვინც განცხადების შემოიტანს, იმას, როცა საქმე კვლავ გაჩნდება, ხელახლა მოვიწვევთო.

✦ **სომეხთა სემინარიის შენობის საძირკვლის კურთხევა.** ხვალ, 20 ივნისს, ნადიროვისეულ მამულში აკურთხებენ სომეხთა ნერსესიან სემინარიის საძირკველს. როგორც ვიცით, ნადიროვის მამული მეფე ერეკლეს უჩუქნია თავ. ამათუნისათვის. ნადიროვს ამათუნებისაგან მემკვიდრეობით დარჩენია ეს ადგილი. ნადიროვს ეს ადგილები სომეხთა ეჩმიაძინის მონასტრისთვის შეუწირავს. სემინარიის შენობის ასაგებად მანთაშევს გადადებული აქვს 200,000 მან. საძირკვლის ჩაყრასა და კურთხევას დაესწრება სომეხთა ქათალიკოსი.

✦ **კიდევ ჩულურეთელი მკითხავი.** ამას წინად ვწერდით ჩულურეთელ მკითხავის ეკატერინე ბაშინჯაგიანცის შესახებ. აღვნიშნეთ, როგორ ატყუავებს და ატყუებს ეს მკითხავი ხალხს. თუმცა სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს ეს ამბავი და, მაშასადამე, ბევრმა გაიგო, მაგრამ მკი-

# სანინელი რა გვაქვს?

როგორც კი გაიგონებენ რამეს საქართველოზე ჩვენი მოწინააღმდეგენი, მაშინვე ციებ-ცხელება ემართებათ. „მათი აზრის" მე-35 ნომერში ჩემი ფელეტონისთვის მიუქცევია ყურადღება ერთ მათგანს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ საქართველოზეა ლაპარაკი, თორემ რუსეთის მდგომარეობაზე რომ ყოფილიყო რამე, ვინ იცის, იქნებ კიდეც დაგვემოწმებოდა და სამძიმარს მიიღებდა ეს არამკითხე ჭირისუფალი რუსეთის იმპერიისა.

ნუ სტირით, ნუ წუწუნებთო, დასცინის „დროებას" ეს მუდამ მღერალი ოპტიმისტი, თითქოს უბრალო ტირილი უფრო კეთილშობილი გამოხატვა გრძნობისა არ იყოს, ვიდრე მუდამ კბილთა ღრეჭა და სიცილი იქ, სადაც სასაცილო არაფერია, არამედ მართლაც სატირალი და სავალალო. მაგალითად, ბევრი იცინის ხოლმე, როცა ს.-დ—ის ჩამოყალიბებულ ტიპს ჰხედავს, მე კი, სწორედ გითხრათ, ვტირი გუნებაში, ვნანობ, რომ ასეთი უცნაური ტიპი დაიბადა საქართველოში, ტიპი სწორედ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და არა საერთაშორისო ნიადაგზედ, როგორც თვითონა ჰგონიათ. ჩვენი მოკამათეების აზრით კი, რა გვაქვს სატირალი, ქუდი ჭერში და ვიმხიარულოთ, რადგან „ახალმა ცხოვრებამ" წარმოშობა „ახალი ძალები" და საქართველოს ეროვნებას სიკვდილი კი არა, აღღორძინება მოელის კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის განვითარების წყალობით. ჩვენ კი ბრმები ვართ, ამას ვერ ვამჩნევთ.

„იგინი ვერ ამჩნევენო, ამბობს „მათი აზრის" მეპრესე, სასიცოცხლო ძალებს ჩვენს ერში და ამიტომაც აქედან წარმოსდგება მათი დაუსრულებელი წუწუნი. ახალმა ცხოვრების ტალღებმა გაგვფანტა, ძველიც გვფანტავდა, მაშ რაღა გვეშველებაო. მათ ვერ შეუგნიათ, რომ სწორედ ახალ ცხოვრებას ახალი ძალები, ე. ი. ბურჟუაზიული წყობილების წარმოშობილი ინტერესები და კულტურა აერთებს ერს და ასე ჰქმნის ეროვნებას, როგორც კულტურულ ძალას. იგი ჰხედავს მხოლოდ გაბატონებულ კლასსებს და მათი გადაგვარებით გულ-დამწვარი მთელ ერს გადაგვარებულათ სთვლის"-ო.

კარგია „კლასსიურ ნიადაგზედ" დგომა, „კლასსიური თვალთა ხედვითი ისარი", მაგრამ არც ისეთი ხმარება შეიძლება ამ ისრისა, როგორც ჩვენში იციან ხოლმე. პატარა ბავშვს რომ რევოლვერი მისცე, მარცხს მოახდენს უსათუოდ; მსგავსად,—ჩვენი ს.-ტი რომ „კლასსიურ ნიადაგზედ" დადგება და „კლასსიურ ისარს" სტყორცნის, მასაც მარცხი მოსდის ბოლმე ყოველთვის: ან „ნიადაგზედ" ვერასდგას ყოჩაღად და კისერს იტეხს, ან ისარი ბრუნდათ მიუდის და წყეულმა იცის, ვის სად მოარტყავს!..

ერთი მიბრძანეთ, როგორი სასწაული მოხდა ისეთი ჩვენს მართლაც და უცნაურ საქართველოს ნიადაგზე, რომ ჩვენში ახალი ძალები აღმოცენდა და ვერავინ შეამჩნია? როგორის მანქანებით შემოგვეპარა ისე კაპიტალიზმი, როგორ აღორძინდა ბურჟუაზია, რომ ვერავინ ვერ გაიგო ჩვენ მარქსისტთა გარდა? თხა-პარია ქურდი ხომ არ არის კაპიტალიზმი, რომ შეიპაროს ქვეყანაში, იქ ახალი ცხოვრება და ახალი ძალები შეჰქმნას და კაცმა კი ვერ გაიგოს ვერაფერი? ან იქნებ ჩვენს ბრძენს ისა ჰგონია, რომ ახალი კლასსის იდეიური გამოსვლა და თვით-აღნიშვნა, საკუთარ იდეოლოგების სიტყვით,—და თვით ამ კლასსის შემჩნევა და აღნიშვნა საზოგადოდ ერთი და იგივეა? იქნება მეპრესეს მარქსის ნაწერთა სენი სემია სადმე და მისი სახელით ასაღებს ამ ობროდობას? მართლაც საბრალო მარქსი ამათ ხელში! მაშ, როგორა გგონიათ, ბ. **ქართველო** მარქსისტო: საფრანგეთში და ინგლისში ბურჟუაზიისა ან კაპიტალიზმის აღორძინება ვერავინ შენიშნა თავდაპირველად, სანამ ესდეკებმა არ აღმოაჩინეს ეს საიდუმლოება? ეხლა, რასაკვირველია, ღობე-ყორეს მოედებით, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, როცა თქვენ შენიშვნასა სწერდით, სწორედ ასე გეგონათ. არც გამიკვირდება!..

მაგრამ კარგი, ვთქვათ, რომ მართლაც ხდება ხოლმე ასეთი სასწაულები ქვეყანაზე (თუმცა ასეთი რამ პირველად მესმის მხოლოდ საქართველოში!) და ჩვენ, მძინარეებმა და სასწაულთ-მოქმედებათა ხილვის ნიჭმოკლებულებმა, ვერ შევამჩნიეთ ეს „ახალი ძალების" აღორძინება,—ესენი ხომ დაესწრნენ ამ ახალ ძალთა შობასა და აღდგომასა და ერთი დაგვარწმუნონ ურწმუნო თომანი,—სად არიან ეს „ახალი ძალები", სად არის ჩვენი ძლიერი ბურჟუაზია და როგორა ჰქმნის იგი ქართველ ეროვნებას? აქაც ხომ ს.-დ—ბა არა სჭირდება ამ ძალთა ნახვასა და ხელით შეხებასა წმინდანთა ხელმძღვანელობით მაინც? არ შეიძლება სხვა რწმენის ადამიანმა ეს ძალები ნახოს? თუ, განვიმეორებ, მათი ხილვისათვის საჭიროა თვით ვიყოთ წმინდანები და ვილოცოთ, რომ „ახალი ძალები" ბურჟუაზიისა გამოგვეცხადოს?

არ ვიცი, რა პირობებია მათი სიწმინდის კანონის ძალით, ამ სასწაულის ხილვისა, მაგრამ ჩვენი „გრძნობანი" კი ვერას გახდნენ და ვერ იხილეს ეს ახალი ძალები".

ჩვენთვის მხოლოდ ის არის **ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ არის არც ქართული სავაჭრო კაპიტალი და არც საწარმოო კაპიტალი. საჭარჩო კაპიტალიც კი უმეტეს ნაწილად სხვის ხელშია.**

იქაც კი, სადაც ჩვენს ტერიტორიაზე ქართველობაა გამოუკლია, თუ კი რაიმე მრეწველობაა, უცხოელების ხელში გადადის,—მაგალითად ჭიათურაში. მსხვილ მწარმოებელთა და ექსპორტერთა უმეტესი ნაწილი ბერძენი, სომეხი, ფრანგი და გერმანელია, რომელთაც კონკურენციას ვერ გაუწევს ჩვენი წვრილი მრეწველი. გავა დრო და ბოლოს ვისაც მეტი კაპიტალი აქვს და საქმის გაფართოვების უნარი, მას დარჩება მთელი წარმოება.

ყველგან, სადაც-კი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება ჩვენში, უცხოელ კაპიტალისტს ნატრობენ,—როდის შევა ჩვენს მთაში, ჩვენს მადანში „კამპანიაო". დიდ ბედნიერებად სთვლიან ხოლმე უცხო კაპიტალისტის შემოსვლას ჩვენში. ქართველი კაპიტალისტების ტრესტები და კარტელები კი ჯერ არავის უნახავს, ქართული ფული კი ჯერ არ „შემოვარდნილა და დატრიალებულა და მიუნგრ-მოუნგრავია" ყველაფერი, ხოლო კარგად ვიცით, ვისი „ფულიც შემოვარდა" და როგორ მოანგრია აქაურობა. ან რა იქნება ბოლოს? ჩვენ კი ვიცით, რაც იქნება, თუ ასე გაგრძელდა საქმე, მაგრამ ჩვენ მოკამათეთა სიბრძნე გვეუბნება—ყველაფერი იქნება, თქვენ ფიქრი ნუ გაქვთო. შაქარი თქვენ სიბრძნის მოლაპარაკე პირთ, კეთილნო არსნო!..

ქართული საქარხნო-წარმოებითი ან სავაჭრო კაპიტალი კი სდუღს და გადმოდის? ვინ არ იცის, რომ საქართველოში ერთად-ერთი დიდი სავაჭრო და საფაბრიკო ცენტრი ტფილისია ეხლა, ბათუმს გარდა, რომელიც თითქმის უკვე გამოგვეცალა ხელიდან, და სადაც ჩვენ უფრო მოანები ვიყავით სხვის კაპიტალისა, ვიდრე ნამდვილი პატრონები კაპიტალისა. ტფილისში კი ვისია ეს სავაჭრო კაპიტალი, ან მცოიე საფაბრიკო მრეწველობის კაპიტალი? ქართველისა? ეტყობა მაღაზიებზე და ქარხნებზე წარწერილ გვარებზე! ერთი მელიმონადე, ერთი მიკიტანი, ორიოდე ყასაბი და მესპიჩკე კი „ვაჭართა" კლასს არ წარმოადგენს.

ეხლა ბანკებშიაც შეიხედეთ, ვისი ფული ტრიალებს?

ეხლა პატარა ქალაქებშიაც გაიარეთ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ვისია ვაჭრობა!

მერე სოფლის დუქნებშიაც შეიხედეთ...

მერე მევახშეებიც გაიცანით, ვინც არიან და რა „ძმაბიჭებიც" არიან.

ერთის სიტყვით, გაითვალისწინეთ ვინ არიან „ეს ახალი ძალები" და ნახავთ, ვის ეკუთვნიან იგინი, საიდან არიან, როგორ შეაერთებენ ისინი ერს და „ასე შეჰქმნიან" ეროვნებას!

ქართული კაპიტალიზმი, ქართული ბურჟუაზია, ქართული ფული—ეს დაცინვაა ქართველისა, მასხარაობაგან მოგონილი ზღაპარია და სხვა არაფერი. განა ასის წლის განმავლობაში ჩვენში აღმოცენებულ **უცხო** კაპიტალიზმის ნიადაგზე რომ ერთი-ორი ქართველი ვაჭარი ან კაპიტალისტი გაჩნდეს—ეს **ქართულ** „ახალ ძალთა" განვითარებას მოასწავებს? მაგრამ არა, ერთი რამ მომაგონდა: აღარ მახსოვს რომელ სახელ-წოდების გაზეთში ერთი ეს-დეკთა ბრძენი ამტკიცებდა,—მანჯურიაში ხდება ეხლა ქართველთაგან „პირველ-ყოფილი შეკრება კაპიტალისაო" და ფიქრი არ არის, მალე ნამდვილ განვითარებულ კაპიტალიზმს ვიხილავთ ჩვენშიო! Шутъ гороховый!.. სხვა რა უნდა უთხრა ასეთ ნუგეშინის მცემელსა.

**არა, ბატონებო! თვალების დახუ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხავი, დღესაც განაგრძობს თავის ოინბაზურ საქმეს. ამ მკითხავთან შეჰხვდებით არა თუ ტფილისის ახლო-მახლო სოფლებიდან, არამედ ხევსურეთიდან ჩამოსულებსაც. მკითხავი დიდის მოხერხებით სძარცავს ხალხს. როგორც ვწერდით, 40 კ. გარდა, მიმსვლელმა უნდა მიუტანოს ორი ღერი სანთელი, საკმეველი და პური, ან „ბუბლიკი". ამგვარად დიდ-ძალი სანთელი და საკმეველი გროვდება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მკითხავის ოთახთან საძინებელი პატარა ოთახია. აქ ფანჯარაში, ალბად მკითხავის განკარგულებით, პატარა დუქანი გაუმართავს იმის ქალს: იგი მეორედ და მესამედ ჰყიდის ერთხელ უკვე მუქთად მიღებულ სანთელ-საკმეველს და ამ რიგად ერთი ორად იგებს. მკითხავი ბაშინჯაგიანცი სხვანაირადაც სთესავს ბოროტებას. შეუგნებელ გლეხობას ხშირად აგონებს რომ შენის უბედურების მიზეზი შენივე ნათესავი ან მეზობელიაო. გლეხსაც უსათუოდ ეყოლება ვინმე მოქიშპე. ამ რიგად ცეცხლზე ნავთი ესხმება და მტრობა და გაუტანლობა ორკეცდება შეუგნებელ ხალხში. გარდა ამისა ხალხს ავალებს შორეულ მანძილზე (ხშირად ასს ვერსზე) სალოცავად წასვლას, სამღვთოს მიტანას და სხვას, რაც ხალხს უკიდურესად აღარიბებს. ამ-კარაა მავნებლობა ჩუღურეთელ ორ-აბაზიან მკითხავისა, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს. ეტყობა, ასეთი მოვლენა ტფილისში ჩვეულებრივი და შესარიგებელი ამბავი ყოფილა. რაკი ხალხი აღარ ენანებათ, პატენტები მაინც დააწესონ მკითხავთითვის, ოომ ეგებ ხაზინამ მაინც მოიგოს რამე.

✦ **ავლაბრის სამკითხველო.** ავლაბარში ერთად-ერთი სამკითხველოა, რომელიც უსახსრობისა გამო ისეთ მდგომარეობაშია, რომ მალე, თუ არავინ მიეპატრონა, შეიძლება დაიხუროს კიდეც. ავლაბარში 40 ათასი მცხოვრებია და ამოდენა ხალხს ქალაქის ცენტრს დაშორებული, ეს სამკითხველო ვერ შეუნახავს. საჭიროა ქალაქის თვითმმართველობამ მაინც მიაქციოს ყურადღება და ავლაბრისათვის ერთად ერთ სამკითხველოს მისცეს სახსარი არსებობისა. წ.-კ. საზოგადოება ავლაბარის ბიბლიოთეკის ყოველ თვიურად აძლევს 15 მან., ქალაქის გამგეობამ რომ სამკითხველოს 300 მან. მისცეს წელიწადში, ავლაბრელებს ეს ერთი ბიბლიოთეკა მაინც შერჩება. კვირას, 21 ივნისს, საღამოთი ექვს საათზე, ავლაბრის ბიბლიოთეკის საფგომში მოხდება სხდომა იმის გამოსარკვევად, თუ სად გამონახონ სახსარი სამკითხველოს შესანახად.

✦ **დაპატიმრება.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: დამცველელ პოლიციის განკარგულებით, დაუპატიმრეს ჟურნალისტი ცალიკოვი. ცალიკოვი სახელმწიფო სათათბიროს მაჰმადიანთა ფრაქციაში მუშაობდა. ცალიკოვს ბაქოში ჰგზავნიან.

✦ **ქათალიკოსის პატივისცემა.** რაც ქათალიკოსი ჩამოვიდა, მის პატივსაცემლად ვანქის ტაძრის ეზო და ეპისკოპოსის სახლი ყოველ საღამოს გაჩირაღდნებულია. ხალხიც მრავალი იკრიბება გალავანში.

✦ **რკინის გზა ულელ-ტეხილზე.** დღეს, 19 ივნისს, საღამოს 8 საათისათვის ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სხდომა მცოდნე პირებისა. ეს პირები მიიწვია გზათა სამინისტროს წარმომადგენელმა ბ-ნმა ჩერვინსკიმ, რომელიც პეტერბურგიდან ჩამოვიდა კავკასიის ულელ-ტეხილზე განზრახულ რკინის გზის ეკონომიურად შესასწავლად.

✦ **უკანასკნელი სხდომა ქალაქის საბჭოსი.** ტფ. ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომა ამ ზაფხულს დანიშნულია ორშაბათს, 22 ივნისისათვის. ამ დღეს საბჭოს, სხვათა შორის, წარედგინება განსახილველად მოხსენება ნაძალადევის მიწების შესახებ.

✦ **ახალი მომრიგებელი შუამავალი.** თელავის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა გენერალი თავ. ანდრონიკაშვილი.

✦ **გადაყვანა.** გორის მაზრის უფროსის თანაშემწე მარკევიჩი თერგის ოლქში გადაუყვანიათ. (ზ.)

✦ **რკინის გზის უფროსის მოადგილე.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის ნაწილის უფროსი ინჟენერი კენგე დაინიშნა რკინის გზის უფროსის მეორე მოადგილედ (ლიანდაგის ნაწილის უფროსადაც დარჩება).

✦ **გუდაუთის ნაწილის უფროსი.** სოხუმის ოლქის გუდაუთის ნაწილის უფროსად დაინიშნა ქელბაქიანი.

✦ **შემნახველი კასა.** სოფელ ტყიბულში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან დაარსდა შემნახველი კასა.

✦ **ქათალიკოსის წასვლის დღე.** სომეხთა ქათალიკოსი ტფილისიდან ეჩმიაძინს წავა ორშაბათს 22 ივნისს,

✦ **სეტყვა გარედ-კახეთში.** გარედ-კახეთში, ჩაილურში სეტყვა მოსულა. დაზიანებულა ვენახები და ნათესობა ჩაილურის ბოლოში.

✦ **მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები.** 18 ივნისს ტფ. სააბრეშუმო სადგურთან დაიწყო სოფლის მასწავლებელთათვის კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა. კურსები 20 ივნისამდე გასტანს. წელს ცოტა ხალხი გამოცხადდა კურსებზე.

✦ **ძველი ნაშთები.** საქართველოს საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ე. ს. თაყაიშვილი და წევრი ალ. სარაჯიშვილი წელს ზაფხულს მიდიან ქართლის იმ ადგილების დასათვალიერებლად და შესასწავლად, სადაც ძველი ნაშთები მოიპოვება.

✦ **მშობიარეთა კასები.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ სამოოთხი თვის წინად ტფილისში სოკოსავით გამრავლდნენ ეგრედ წოდებული „მშობიარეთა კასები", რომელთა ინიციატორებმა ჩაითრიეს დიდ ძალი ღარიბი ხალხი. არსებობდა კასსები სტუდენტ მნაცაკანოვისა, მისი ცოლის ქალაქის მსახურის ანთარამ მნაცაკანოვისა და მისი დედის, ფარეშოვისა, ყიფიანისა და სხვათა. ყველა ესენი ამ ჟამად პასუხის გებაში არიან მიცემულნი და საქმე გამოძიებაშია.

✦ **სწავლა - დამთავრებულნი.** ქალთა მეოთხე გიმნაზიაში წელს სწავლა-დაამთავრა 26 ქალმა. აქედან ექვსი ქართველია: ე. ბაქრაძე, ე. გაბაშვილი, ნ. ზაალიშვილი, ე. სახოკია, ა. წინამძღვარიშვილი და ვ. ჭიჭინაძე.

✦ **სომხურ დრამატიულ საზოგადოების კრება.** დღეისთვის დანიშნულია საზოგადო კრება სომხურ დრამატიულ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს წარსულ წლის მოქმედების ანგარიში. საანგარიშო წელს დრამატიულ საზოგადოების 3000 მანეთი დეფიციტი ჰქონია.

✦ **ქალაქის თავის წასვლა.** გუშინ, 18 ივნისს, ბაქო-ბალაჯარის გზით საფრანგეთში საექიმოდ გაემგზავრა ტფ. ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. თავ. ჩერქეზიშვილი საზღვარ-გარედ დარჩება სექტემბრამდე.

## მეფეარილი ამბები

**ქვემო ქიზიყი.** საუცხოო ამინდია—თავის დროს წვიმა, თავის დროს მზიანი დღეები. მინდვრის მოსავალი ძალიან კარგია. ქერები კაიკრა. ქერის ფასი კი ფუთი 40 კ. ერთი კვირის შემდეგ უანებიც კაიკრება.

ქვემო-ქიზიყს ახლო მომავალში ჭკუის გასართობი მოედის: ახალ-გაზდობა—ინტელიგენტია ამ თვითონვე შეუდგა წარმოდგენების გამართვას ს. ქვემო-მაჩხანაში და დდ. დაგოდახოუქურმიშას (დედოფლის წყარო). ინიციატორობა ამ საქმეში მიუძღვით ს. ნადირაძეს და ს. შანმიაშვილს. წარმოდგენილი იქნება „ხანუმა" „თაგვის ბრალია"! და სხვა.

მაგრამ, საუბედურად ქიზიყისა, ამ გულის გასახარებელ ამბებთან სხვა საამოსახარო ამბებიც ჭნდება: ჯაშუშობა და ერთმანეთის დაბეზღება ბირად ინტერესების გამო თვით სოფლებშიც კი გახშირდა. აბეზღებენ ისეთს ბირებსაც კი, როგორც არის ზემო-მაჩხანის მდედელი ბალდოხინი კ. დვ—ვი: ამ თვის ბირველ რიცხვებში მისი ხახლი გაჩხრიკეს და თუმცა საწინააღმდეგო ვერა იპოვნეს რა, მაგრამ მაინც შუადამისას იგი შეიბეურეს და თავი ამოაოთინეს სიდნადის საამორთველოს შენობაში. მოორე დღეს გაანთავისუფლეს.

8 ივნისს გაირჩა სასამართლოში დეკ. ბენაშვილის თავ-დასმისა და ს. ჯუგაანის ეკეკლესიის გაცარცვა-გატეხის საქმე. ბოქაულმა, როგორც მოწმემ, აღვიარა: ერთი ბრალდებულთაგანი, თარიმან ბეგიაშვილი ჩემი აგენტი იყოო. ამ ზემოხსენებულ საქმის გარჩევის შემდეგ დამნაშავედ იცნეს ბეგიაშვილები ეკეკლესიის გატეხაში და მიესაჯათ ოთხსაგე ექვს-ექვსი წელიწადი კატორგა.

შემდეგიც საამეუსარო: თითქმის თვითვეულ კომლს აბრეშუმის ჭიის თესლი ეჭირა, მაგრამ თესლი ცალი გამოდგა და ჭიამ თავის სიცოცხლეს უკანასკნელ კვირაში, ცეხზე ასვლის დროს, ძალიან იზარადა. და თუ ვინმე რასმე გამოარჩა, იგიც ჩარჩ-დადადების მეოხებით დაფოდა. ფუთი ბარკი გაიყიდა 11—14 მანეთად.

თამბაქოც ბევრი დაითესა წელს სიდნადის მაზრაში ს. ჯუგაანში და უფრო მომატებულად ს. კაბალზე და დ. დაგოდეხის მიდამოებში (ესენი მდ. ალაზნის მხარეზეა). თამბაქოს მოსავალს ბირიც ძალიან კარგი უჩანს, მაგრამ მშრომელთა საუბედურად და ჩარჩოთ საიდბდოდ, ვგონებ, თამბაქოსაც, როგორც ბარეს, იგივე საზარალო ბედი ექნება.

**ქიზიყელი.**

—

**ფოთი.** ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში 10 ივნისს გაიმართა საქალაქო გიმნაზიის მშობელთა წრის კრება. კრებას განსახილველად ჭქონდა ერთი ფრიად საეურადღებო, მაგრამ ამავე დროს მეტად მწვავე საკითხი.

წელს ქალთა გიმნაზიის ეგზამენ კლასებში ეგზამენები შემოიღეს. გამოცდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასებში (სულ ჯერ-ჯერობით ექვსი კლასია) მეორედ გამოცდა სჭირია 77 მოწაფეს. წლის განმავლობაში მოწაფენი ოთხებსა და ხუთებს იღებდნენ საგნებში. მშობელთა წრეც ამ იმედით იგვებებოდა და ამ მხრით უზრუნველ-ყოფილად სთვლიდა თავს. მაგრამ გამოცდის შემდეგ სულ სხვა დაინახა. საკარებელია ასეთი მაკალითი: მოწაფეს რუსულ ენაში წლის ნიშანი ხუთი აქვს, ეგზამენის დროს ერთს უწერენ; ან კიდევ, წლის განმავლობაში ოთხი აქვს, გამოცდის დროს ერთს უსვამენ. მშობელთა წრემ ეს სხდომა მთლად ამ მის მიერ „საუბედურო"-დ ცნობილ შემოხვევის გამორკვევას მოანდომა. მაგრამ მთავარ საკითხს წრემ გვერდი აუქცია: იმის მაგიერად, რომ შეეტყო მიზეზი ასეთ არა-ჩვეულებრივ მოვლენისა, აირჩიეს კომისია და მიანდეს მას მოაწვიოს გამოცდილი რეპეტიტორები, რომ ორი თვის განმავლობაში მოამზადონ მოწაფენი რუსულ ენასა და მატემატიკაში. დანარჩენ საგნებში თვითონ მოუმზადებიანო.

**ლ. გ—რი.**

—

**სურამი.** უკვე იყო თქვენს გაზეთში, რომ სურამშა გამოიდვიძა. აქაურობას რადაც სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტეო და ეგვლს იმედი აღერძა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბირგედ გაზაფხულიდან მოეოდებული აქეთ მხარეს აქამდე წვიმა არ დირსებია. ყანები ეგვედგან ყახდა და სიცხისგან ათგან დახეოქად მიწიდან ძალიან ამოიყურებიან. ეხლა წვიმა ვედარაფერს უშველის, მხოლოდ თუ გაამაბრუხებს ისევე სიმინდს, რომელიც საკვდილ-სიცოცხლის შუა, ეანსხვა [illegible] კარგია.

[illegible] მოსვლა და [illegible] სახლებს ქირაობენ, რომელთა ფასები ამ ჟამად წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად დაწეულია. აქეთ მშვიდობიანობა და ის უწყობს ხელს აქ მოაგარაკეთა მოსვლას, თორემ სურამის მოუწყობლობა სულ ერთიან დაეფრთხობდა ხალხს, გაზაფხულის დასაწყისს „გაღვინი"-ს სისტემის ფარნების დასადგმელად კიდეც დაიწყეს აქ ფულის გროვება, მაგრამ ეს კარგი საქმე შეფერხდა და შეიძლება არც კი მოხერხდეს წელს ამ ფარნების დადგმა. ერთად-ერთს იმედს გვაძლევს ბარკი, რომელიც ამ დღეებში გაიცა იჯარით ცხრა წლით და მოიჯარადრე ო. ნოდია, რომელსაც შარშან ერთი წლით ჭქონდა ადებული ბარკი, აბირებს შენობების გაკეთებას და სამხედრო მუსიკას იწვევს მთელი ზაფხულით.

იყო თქვენს გაზეთში ისიც, რომ ამ დღეებში გადასვენეს სურამის მამასახლისი თავ. შადიკო თავდაგანდიშვილი, რომელიც რადაც ექვსი თვეა რაც მოვიდა და იმის ადგილს დანიშნეს, მგონი დროებით, ბ-ნი ეიფეანი, რომელიც წინად კარალეთში მამასახლისობდა და დღემდე უადგილოდ იყო. მთავრობის მამასახლისებს სურამში რადაც ბოდო არ მოსდევთ და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მთავრობა ითხოვს. ბირველი მამასახლისი მიხა აბაზაძე მხოლოდ ორს თვეს მსახურებდა, მეორე თავ. ტიტეკო ხერხეულიძე—ექვსს თუ შვიდს, მესამე თავ ტიტეკო ვეზირიშვილი—ცოტა მეტს და მეოთხეს თავ. თავდავანდიშვილსაც ეს ბედი მოჰყვა. ეველა ამაში გასაკვირი ის არის, რომ ეს მამასახლისები მსახურობენ და ბოლოს ხალხიც უმადური რჩება და მთავრობაც.

**სურამელი.**

—

**დ. სამტრედია.** დაარსდა თუ არა დ. სამტრედიის განყოფილება ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებისა, განყოფილების გამგეობა შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას. უბირველესი უურადღება მიაქცია სახსარის მოპოვებას. ამ აზრით გადასწყვიტა გავმართა დ. სამტრედიაში, „ედემის" ბაღში, სეირნობა დატარიით 31 მაისს, მაგრამ მას ხელი შეუშალა სხვა და სხვა მიზეზმა. და დღეს, როგორც სჩანს ძალუად იქმნა ეოველგვარი დაბრკოლება და ნამესტნიკის ნება-რთვით გამგეობამ გადასწყვიტა გამართოს სეი-

---

ქვა მოვლენათა წინაშე ბრიყვთა წესია და მეც არა მსურს დავხუჭო თვალები. რამდენიც გინდათ იძახეთ ჩვენს „ახალ ძალებზე", მე მათ ვერა ვხედავ, ვინაიდან რაც არ არის, რა დავინახო. ჩემთვის ახალი სოციალურ-ეკონომიური მოვლენა, ერის ცხოვრებაში აღმოცენებული, მანჯურიაში „პირველ-ყოფილი შეკრებილი კაპიტალი" კი არ არის, აგრეთვე ორი მეთევზე და ერთი მეფართლე, არამედ აღორძინება ამ ერის მრეწველთა და ვაჭართა კლასისა, რომელიც ერთი დიდი ორგანიული ნაწილია ერისა, ვითარდება ბუნებრივის წესით და თავის განსაზღვრულ მისსისას ასრულებს ერის ცხოვრებაში. ჩვენში ასეთ მოვლენას ვერა ვხედავთ.

ჩვენს ტერიტორიაზე **უცხო** „ახალი ძალები" არიან, ჩვენი ტერიტორია **უცხო კაპიტალიზმის** ნიადაგია, საკანი უცხო კაპიტალის ექსპლოატაციისა. ეს ძალები ჩვენ არ გვეკუთვნიან, პირიქით, ისინი **განსაზღვრულ ერს** ეკუთვნიან, მისი „ახალი ძალები" არიან, მისი შემაკავშირებელნი, **მისი** დამცველნი, მისი კულტურის აღმაღორძინებელნი. რამდენადაც მათ ქართველობა უშლის თავიანთ **ეროვნულ** სიძლიერის განმტკიცებას ჩვენს ტერიტორიაზე, იმდენად ისინი **მტერნი** არიან ქართველ ეროვნებისა, და არც შეიძლება რომ არ იყვნენ, მით უმეტეს, თუ მართლაც ეს ახალი ძალები ერთს აერთებენ და „ასე ჰქმნიან ეროვნებას". დიახ, ისინ **თავიანთ** ეროვნებას ჰქმნიან **სხვის** ტერიტორიაზე.

მაგრამ იქნებ ეს სულ ერთია ესდეკებისთვის, რადგან ისინი ინტერნაციონალისტებიც არიან. სანამ ახალი ძალები ერს აერთებენ,—ერსაც არა უშავს-რა და რას ვწუწუნებთ, მაგრამ თუ ეს ახალი ძალა სხვისი გამოდგა, **თავისი** შეაერთდა **ჩვენ** დაგვსაქსა,—ამასაც არა უშავს-რა, ჩვენ ხომ შოვანისტები არა ვართ, ჩვენ საერთა-შორისო პრინციპებით უნდა ვიყოთ აღჭურვილნი: ივანე, პეტრე—სულ ერთია, კაცი—კაცია; აგრეთვე ქართველი, ოსი, სომეხი სულ ერთია,—კაცი—კაცია. ებრაელისა არ იყოს,—ко всему есть свое примѣчаніе.

მაგრამ, ესდეკის აზრით, შეიძლება აბა სწორედ აქ იყოს ჩვენი ბურჟუობა: ჩვენ მარტო ბურჟუებში ვხედავთ „ახალ ძალებს", პროლეტარიატს კი „ვაფუჩეჩებთ". აღორძინდება ქართული პროლეტარიატი, მოახდენს თუ გინდ უცხო ელემენტის ექსპროპრიაციას და შეიქმნება სოციალისტური ქართველი ერი! მაშ რაღა გვატირებს. სხვა თუ არაფერი, ეს ხომ მაინც აუცილებლად მოხდება „ცხოვრების რკინის კანონის ძალით?" ქართველი ბურჟუა თუ არა, პროლეტარიატი ხომ მაინც სჭარბობს სხვებსა? მაგრამ ვაი რომ ველარც „პროლეტარიატი" სჭარბობს! წარმოიდგინეთ, უცხო ბურჟუაზია ჩვენსას პროლეტარიატსაც აღარ კადრულობს! მას ყველაფერი მოსწონს ჩვენი—მიწა, მადანი, ქალაქი, მხოლოდ ქართველ პროლეტარის სახელს ნუ გაგონებთ! ერთი მიზეზი ამისი ის არის, რომ ქართველ პროლეტარს ერთობ მალე გაეღვიძა „კლასსიური შეგნება" და ეს-კი მაგრე რიგად არ მოსწონს უცხო ბურჟუას, მეორე კიდევ ის, რომ თურმე უცხო კაპიტალისტს თავისი ერის პროლეტარი ერთობ ბევრი ჰყოლია, ჩვენზე მეტიც. ასე რომ, ჩვენი პროლეტარი თავის სახლში კი არა, სხვაგანაც ველარ შოულობს ადგილს. არ ვიცი, როგორ გათავდება ბოლოს და ბოლოს ამ პროლეტართა საერთა-შორისო სოლიდარობის საქმე.

მაგრამ ერთი ხსნა კიდევ არის, რომ ჩვენი პროლეტარიატი მეტი იყოს სხვისაზედ საქართველოში: მთელი საქართველოს გაპროლეტარება. ორ მილიონ ნახევარი პროლეტარი! უჰ! ისიც კიდევ როგორი პროლეტარი!—არც ერთს სამუშაო არ ექნება, რადგან უცხო კაპიტალისტს თავისი პროლეტარიატი ჰყოლია. ნამდვილი „რეზერვის სამრეწველო არშია" არ იქნება! მაშინ კი ჩვენი პროლეტარები უსათუოდ ან განიბნევიან ქვეყანაზე, ვითარც ურიანი, ან ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას მოახდენენ და ამით გადასწყდება ჩვენი ეროვნული პრობლემა. როგორ „პროცესსი" მოხდება,—არ ვიცი, ეს ალბად ს. დ—ტების კარაბადინში ეწერა. ერთი „უცხო" კაპიტალიზმის მომხრე კი მაინც ასე მეუბნებოდა ერთხელ: თქვენ, ქართველებს, ხომ გწამთ გაპროლეტარება და შემდეგ ესპროპრიაცია, მაშ რაღას გვეჩხუბებით, დაე, ჩავიგდოთ ხელში თქვენი ყველაფერი და მერე ხომ მაინც თქვენი იქნება, თქვენი პროლეტარიატი ხომ მაინც აუკილებლად მოახდენს ჩვენის კაპიტალის ექსპროპრიაციასო.

მწარე და ჭკვიანი დაცინვა იყო... ცინიკური რომ არ ვოფილიყო! დიახ, ძლიერ ბევრ უცნაურ „აზრს" შეხვდება ადამიანი ჩვენში.

მეპრესე მიკიჟინებს,—გაბატონებული **კლასსები** გადაგვარდა და მას მთელი ერი ჰგონია გადაგვარებულიო. მაგრამ გაბატონებულ კლასსებისგადაგვარებას კი ვიღა დაეძებს, რომთვით ჩვენი აზრის (?) გადაგვარება უეჭველი ფაქტი არ იყოს! მთელს ხალხში ასეთი უცნაური, ასეთი აბსურდული აზრი არ დაატრიალეს მარქსისტებმა, რომელთა აზრის დეგენერატია ყოველ ეჭვს გარეშეა? და არ იფიქრო, მკითხველო, რომ სომარქსისტული რომ არის ასეთი „აზრები" იმიტომ იყოს გადაგვარებული; არა,—იგი გადაგვარების მომასწავებელია, როგორც **ქართული** მარაქსიზმი სხვაგან, ჯან-საღ საზოგადოებაში ასეთ აზრს ვერ შეხვდებით, თუ გინდ იმავე „უცხო ბურჟუაზიის" საზოგადოებაში, სადაც კაპიტალიზმიც მეტია და პროლეტარიატობაც, ვიდრე ჩვენს ქართულს საზოგადოებაში. მართლაც და განა შეიძლება ასე უსუსურად და ყოვლად უგუნურად საზოგადოებრივ მოვლენათა დაკვირვება და განხილვა? როგორ ვერ უნდა გაარჩიოს კაცმა კვლევის დროს განყენებული მოვლენა კაპიტალიზმის აღმოცენებისა საზოგადოდ და ერთი კონკრეტული მაგალითი ასეთი მოვლენისა? კაპიტალიზმის აღმოცენება რომელსამე ერის ცხოვრებაში საზოგადოდ,—დამოუკიდებლად განსაზღვრულ ერისა, მისი ცხოვრების სპეციალურ პირობათა,—ერთი საგანია კვლევისა, კაპიტალიზმის აღმოცენება ერთ განსაზღვრულ ერის ცხოვრებაში კი ყველა იმ სპეციალურ პირობათა მიხედვით, რომელნიაც ეს ერის ცხოვრობს,—მეორე საგანია. ჩვენ შეგვიძლია საქართველოში, ან კავკასიაში, ან რუსეთში კაპიტალიზმის ისტორია მოვუთხროთ მკითხველს, როგორც ისტორია განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენისა, აღვნიშნოთ მისი გავლენა საზოგადოდ მცხოვრებლებზე, მისი გავლენა სახელმწიფოს ცხოვრებაზე და სხვა, მაგრამ არა ვსთქვათ, რა მოუვიდა ამ დროს ქართველს, ან სომეხს, ან თათარს, როგორც განსაზღვრულს ერს. მეორეს მხრით ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ კაპიტალიზმისაგან განადგურება მთელი ქართველი ერისა მითი, რომ კაპიტალის შემოტანმა ერმა დაიმონავა ქართველი ერი, გაანადგურა იგი და დაიჭირა მისი ტერიტორია, მოჭკლა იგი, როგორც ეროვნება. ეს ორი საგანი სრულიად სხვა და სხვა იქნება კვლევისა. ეს ისევე მართალია, როგორც ჩვენ შეგვიძლია მოვუთხროთ მკითხველს ერთის მხრით რომელიმე ევროპის სახელმწიფოს მიერ ახალი მიწის „აღმოჩენა" და ამით ამ სახელმწიფოს წარმატება, ახალ მიწაზედ ახალი კულტურის შეტანა და „აყვავება" ამ მიწისა, მეორეს მხრით სრული ამოჟლეტა ადგილობრივი ხალხისა! ისტორიამ განა ცოტა იცის ასეთი მაგალითი?!

ჩვენი, ქართული კაპიტალიზმის ისტორია სწორედ ასეთია. ჩვენში შეიძლება უმწვერვალეს ხარისხამდე განვითარდეს კაპიტალიზმი, მაგრამ შეიძლება ეროვნება სულ დაიმალოს. დღეს ჩვენ, მაგალითად, მონები ვართ სხვა კაპიტალიზმისა,—მონებადაც აღარ გვკადრულობენ, რადგან თავისიც ბევრი ჰყოლიათ, და თუ არ **ვეცადეთ ყოვლის ღონის ძიებით ქართულ კაპიტალის შექმნას,** ჩვენი ეროვნება განსაცდელშია. „გაპროლეტარება" და „ექსპროპრიაცია" ჯერ შორს არის და სანამ იგი მოხდებოდეს, ვინ იცის, რამდენი უცხო ერის პროლეტარი დაიჭერს ჩვენი პროლეტარის ადგილს და სად განიბნევა ჩვენი პროლეტარიატი, ვინ იცის, ვის დარჩება, რომელი ერის პროლეტარიატს სარბიელი ექსპროპრიაციისა.

ყოველივე ესე დღესავით ნათელია, მაგრამ გამოდგება ჩვენი მეპრესეს მსგავსი ვინმე ფილოსოფოსი და დაიწყებს უთავბოლო რახუნს „ახალ ძალებზე", თითქოს ან ახლის გაეგებოდეს რამე და ან ძველისა. გაუგონია კაპიტალიზმი ერს აერთებსო და იმეორებს ამას ამას თვალდახუჭული, ხოლო სად და როდის,—ამას აღარ დაგიდევს. ეს იმასა ჰგავს, მოწაფე რომ სკოლაში გაიზეპირებს ფიზიკის ფორმულას, მაგრამ დიდ-უურასავით სდგას ექსპერიმენტის დროს, როცა მან სწორედ უნდა გამოიყენოს ეს ფორმულა.—საფრანგეთში, ინგლისში, ბატონებო, სადაც წინადაც მილიონობით იყო ხალხი და ეხლა კი 60, 50, 40 მილიონია თითო „ეროვნება",—იქ აქვს გასავალი კაპიტალიზმის მაგვარ ფორმულებსა,—სადაც უმეტესი ნაწილი პროლეტარებისაც და ბურჟუებისაც ფრანგი, ინგლისელი და გერმანელია, მაგრამ ჩვენში?!. ეჰ! რა უნდა ველაპარაკო „მანჯურიის პირველ-ყოფილ კაპიტალის" მოიმედეს!..

**B.**

(შემდეგი იქნება)

დაარსებულია 1880 წელს.
ყოველ დღე, კვირაობის გარდა
გამოსცემს ივანე ბოლოკინი

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქართველი, ვენერიული (სიფილ.) და საშარდ.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან. და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. ქანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან. და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. დარიგებს უფასოდ, კონსულტაციები. და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დიაქტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—110.)

ბაღი-რესტორანი
ამხანაგობის
„ᲘᲣᲨᲐᲜᲔ“-ᲡᲘ
სახალხის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. ეკრავს ორკესტრი ბ-ნ ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**
სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები“ და „ბრეისკურანტები“. ფასები ზომიერია.
ტელეფონ N 233. (50—გაუ.—10)

ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲔᲛᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ
„ᲫᲛᲝᲑᲐ“
ამით აცხადებს, რომ იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქნა მდგომარე წლის 4 ივნისს ნოტარიუს მიტკევიჩთან (ჩაწერილი რასტრით № 5560), თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ვაჩნაძე** ითვლება ამხანაგობიდან გასულად, რასაც ამხ—ბა აუწყებს ყველა იმათ, ვისაც ამ ხანაგობის საქმეებისა გამო რაიმე დამოკიდებულება აქვს ხსენებულ თავ. ნიკოლოზ ალ. ვაჩნაძესთან. (3—გაუ—2)

Вязальная машина
швейныя машины „Кайзеръ“
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲐᲑᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად ფფრო გაუმჯობესებული „**სისტემა ზინგერ**“-ზე. საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, ამბროლაური, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვანი. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
**ᲐᲓᲠᲔᲡᲘ:** A. P. Табагари, г. Кутаисъ.
(100—ბ—46)

1862 г. 1896 г.
ФАБРИЧНО-ТОРГОВОЕ ТОВАРИЩЕСТВО
А. И. Абрикосова С-вей.
ФАБРИКИ: Москва и Симферополь.
Розничные магазины въ Москвѣ:
1. Кузнецкій мостъ, пасс. Солодовникова.
2. Тверская, д. Полякова, ряд. съд. Ген.-Губерн.
3. У Ильинск. вор., Луб.-Ильин Торг. Пом.
4. Верхніе Торговые ряды.
Оптовый магазинъ и контора: МОСКВА, Лубянскій проѣздъ, домъ Политехническаго Музея.
ОТДѢЛЕНІЯ: С.-ПЕТЕРБУРГЪ, ОДЕССА, КІЕВЪ.
ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.
Въ виду появленія въ Москвѣ кондитерскаго магазина подъ фирмою, близкой по наименованію къ нашей, просимъ гг. покупателей, во избѣжаніе недоразумѣній, обращать вниманіе на отличительные признаки нашего Т-ва, всѣ этикеты коего снабжены изображеніями
ГЕРБА ПОСТАВЩИКОВЪ Двора Его Императорскаго Величества и двухъ государственныхъ гербовъ.
ОТДѢЛЕНІЙ И МАГАЗИНОВЪ Т-ВА А. И. АБРИКОСОВА С-ВЕЙ, КРОМѢ ПЕРЕЧИСЛЕННЫХЪ,
БОЛЬШЕ НИГДѢ НѢТЪ.
Просимъ обращать вниманіе на инициалы: А. И.
А. И.
(Мотдъ и К° N 184939)
(4—б.—1)

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

**ლოპუხინის საქმე.** როგორც ვიცით, პეტერბურგში ხმა დადიოდა, რომ ლოპუხინს ციმბირში აღარ გაგზავნიან და სასჯელს ადგილობრივ მოახდევინებენო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა. ლოპუხინს ივლისში გაგზავნიან ციმბირში. ლოპუხინს თან გაჰყვება მისი ოჯახი.

**ქალი—ნაფიცი-ვექილის თანაშემწე.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება ქ-ნმა ეკატერინე ფლეიშიცმა პეტერბურგის სამოსამართლო ოლქის ნაფიც-ვექილთა საბჭოში თხოვნა შეიტანა, ნაფიც-ვექილის თანაშემწედ მიმიღეთო. რუსეთის გაზეთების სიტყვით ნაფიც-ვექილთა საბჭოს შეუწყნარებია ეკატერინე ფლეიშიცის თხოვნა.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ეკატერინოსლავში 5, უფაში 2, კიევში 1, ხარკოვში 1, ვარშავში 3, რეველში 2, რიგაში 1, ოდესაში 1 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: რეველში 1, კიევში 2, ხარკოვში 2, ოდესაში 2, რიგაში 1, პეტერბურგში 2 კაცი.

## სიკვდილი გაოლინჯოეგს!

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 15 და აფთიაქის საწყობში კოჩინევისა, ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ახ.—5)

ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲔᲛᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ

# „ᲫᲛᲝᲑᲐ“

ამით აცხადებს, რომ იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც დადებულ იქნა მდგომარე წლის 4 ივნისს ნოტარიუს მიტკევიჩთან (ჩაწერილი რასტრით № 5560), თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ვაჩნაძე** ითვლება ამხანაგობიდან გასულად, რასაც ამხ—ბა აუწყებს ყველა იმათ, ვისაც ამ ხანაგობის საქმეებისა გამო რაიმე დამოკიდებულება აქვს ხსენებულ თავ. ნიკოლოზ ალ. ვაჩნაძესთან. (3—გაუ—2)

# ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

**საუბარი შევკეთ-ფაშასთან.**

„რუს. სლ.“-ს კორესპონდენტს მარშალ შევკეთ-ფაშასთან უსაბრნია იმ ინციდენტის თაობაზე, რომელიც ამას წინად მოხდა მარშალსა და ბერძნის პატრიარქს შორის.

გენერალს უთქვამს, რომ გაზეთებში სწორედ იყო აწერილი ეს ინციდენტი, ეგაა ძლიერ გაზვიადეს ჩემი სიტყვების მნიშვნელობა. მე არავის შეურაცხყოფა არ მინდოდა: მე ვლაპარაკობდი მხოლოდ მაკედონელ ბერძენთა ბრბოებზე და არა საზოგადოდ ყველა ბერძენზე. ხომ იცით, სულ უბრალო სიტყვასაც გამოაბმენ ხოლმე კილოს.

— როგორ გგონიათ, რა შედეგი მოჰყვება ამ ინციდენტს?

— ყოველ შემთხვევაში მე თითონ არას დამიშავებს ეგ ინციდენტი.

იმავ კორესპონდენტს შეუტყვია, რომ ბერძნის პატრიარქი მისულა რუსის ელჩთან ზინოვიევთან და ამ ინციდენტზე ჩამოუგდია ლაპარაკი, მაგრ-მ ზინოვიევს სულ სხვა საგანზე დაუწყვია საუბარი.

ოსმალური გაზეთი „ტანინ“-ი, სწერს, რომ ბერძნის პატრიარქს, როგორც ეტყობა, უნდოდა ოსმალეთის მთავრობა გაჭირვებაში ჩაეგდო ამ ინციდენტით.

**ოსმალეთის პარლამენტში.**

„რუს. ვედ.“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ ბოლოს ოსმალეთის პარლამენტის უმეტესობა თითონვე ცდილობს პარლამენტის უფლების შეზღუდვას და სულთნის უფლების გაძლიერებას. კორესპონდენტის სიტყვებიდან სჩანს, რომ ასეთ ახირებულ „მოძრაობის“ მეთაურები არიან ბერძნისა და სომხის დეპუტატები, რომლებიც ადრე ახრარიების პარტიაში შედიოდნ. მათ რასაკვირველია მხარს უჭერენ პარლამენტის სხვა რეაქციონური ელემენტებიც. კორესპონდენტი სწერს:

„რუსულ პრესაში ბოლოს დროს დაიბეჭდა დიდი ქება მახმუდ-შევკეთ-ფაშისა; მაგალითად გაზ. „რეჩ“-მა იგი დაახასიათა როგორც ჭეშმარიტი-სახელმწიფო კაცი, რომელმაც ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი უფრო ზომიერ დინჯ გზაზე დააყენა და ამავე დროს დაიცვა სულთანის ავტორიტეტი და უფლება.

მე სულაც არ მინდა მარშლის ღირსების დამცირება, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო- რომ შევკეთ-ფაშა როდია მეთაური იმ საყურადღებო მოძრაობისა, რომელიც ბოლოს დროს ცდილობს სამინისტროს და პარლამენტის უფლების შეზღუდვას. ვიცი, უცნაურად გეჩვენებათ, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ ამ მოძრაობის ნამდვილი მეთაური თითონ პარლამენტია, ის პარლამენტი, რომელმაც აბდულ-ჰამიდის დროს მიიღო ცნობილი ფიცის ფურცელი: „სულთნის ერთგული ვიყო, სანამ იგი კონსტიტუციის ერთგულია“, და მიანდვა საპარლამენტო კომისიას, რომ კონსტიტუციის შეცვლის დროს მას ეხელმძღვანელნა პრინციპით: „სულთანი მეფობს და არა ჰმართავს“.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ოსმალეთში. აბდულ-ჰამიდი ტახტიდან ჩამოაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა ლიბერჭლმა და კონსტიტუციის ერთგულმა სულთანმა მაჰმედ მეხუთემ. ხოლო პარლამენტის გვერდზე გაჩნდა ახალი მრისხანე ძალა ჯარისა. რაც უნდ უთანხმოება მოსდიოდეთ ხან და ხან ჯარის უფროსს შევკეთ-ფაშას, სამინასტროს და კომიტეტს,—მაინც სრულიად ცხადია, ცხადია, რომ ეს სამი ფაკტორი ჯერ კიდევ დიდხანს იმოქმედებს ერთად, რადგან უკანასკნელ რევოლიუციის დროს ამ სამმა ფაკტორმა ერთად სძლია ძველს ოსმალეთსა და დიქტატურაც სამივე გამარჯვებულის ხელში უნდა იყოს.

ამ დიქტატურამ ერთბაშად შეამცირა მნიშვნელობა და ავტორიტეტი პარლამენტისა, მაგრამ გაცილებით სწორე იქნება ვსთქვათ, რომ პარლამენტმა თითონ დასცა თავისი ავტორიტეტი და სახელი იმ ყოყმანისა და სულმოკლეობის წყალობით, რომელიც მან კონტრ-რევოლიუციის დღეებში გამოიჩინა. ამიტომაა, რომ შევკეთ-ფაშა უნიშნავს პარლამენტს მუშაობის რიგსა და მოურიდებლად უსაყვედურებს დეპუტატებს, მეტად მძიმედ მოქმედებთო. ამიტომაა, რომ ახმეტ-რიზა, რომელიც წინად ხათრიანი და დამთმო თავსმჯდომარე იყო, ეხლა „რკინის ხასიათს“ იჩენს და ხშირად ამბუჩადაც იგდებს პალატას. ხილმი-ფაშაც ამიტომ მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას აღარ აძლევს პალატის კენჭის ყრას.

რაღა გასაკვირველია, რომ პარლამენტის უმეტესობას ჭკუაში არ მოსვლოდა ესეთი მდგომარეობა. აკი მან რამდენჯერმე წინააღმდეგობაც გაუწია სამინისტროსა და კომიტეტს, მაგალითად პალატამ უარი განაცხადა და სამხედრო სასამართლოს არ დაანება კონტრ-რევოლიუციის ცნობილი მეთაური დეპუტატი იზმაილ-ქემალი, რომელიც საზღვარ-გარედ გაიქცა და იქიდან ეწევა ბეჯით აგიტაციას ალბანიაში ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ. მაგრამ ყველაზე ძლიერ ამ წინააღმდეგობამ იჩინა თავი იმ კამათის დროს, რომელიც პარლამენტში გაიმართა სულთნის უფლების შესახებ.

აქვს თუ არა სულთანს უფლება პარლამენტის დაუკითხავად თავის ნებით გამოცვალოს მთელი სამინისტრო ერთიდ, ან თვითეული მინისტრი და მათ შორის დიდი ვეზირიც?

წინად საპარლამენტო კომისიამ და თითონ პალატამაც დაადგინეს, რომ სულთანს არ უნდა ჰქონდეს ეგეთი უფლებაო. პალატამ მკაფიოდ დაადგინა, რომ ოსმალეთში პარლამენტარული წესი უნდა დამყარდეს და თითოეული მინისტრი თუ მთელი სამინისტრო მხოლოდ პალატის მიერ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ უნდა გადადგნენ ხოლმე სამსახურიდანო. ეს იყო პირველ წაკითხვის დროს, ხოლო მეორედ წაკითხვის დროს ბერძნის დეპუტატმა, ახრარების კავშირის წევრად ნამყოფმა, ბუსიოს-ეფენდიმ მოულოდნელად შეიტანა წინადადება: „სულთანს უნდა ჰქონდეს უფლება მინისტრების გადაყენებისაო“ ეი მისი საბუთები:

— როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ დიდი ვეზირი აუცილებლად უნდა გამოიცვალოს, ხოლო პალატა მუშაობს იმ დროს? ეს უფლება აუცილებლად უნდა მივანიჭოს სულთანს. ჩვენ საბუთი არა გვაქვს არ ვენდოთ სულთანს. ოსმალების დინასტიაში აღარ გაჩნდება ახალი აბდულ-ჰამიდი. თუ უთუოდ გინდათ, რომ სულთანი გულხელდაკრეფილი იჯდეს, მაშინ სჯობია პირდაპირ გამოაცხადოთ: „მხოლოდ იმის გულისთვის, რომ დოლმაბახჩეს სასახლე ცალიერი არ იდგას, იქ დავაბინავეთ ფადი-შაჰი“. ყოველ შემთხვევაში სულთანს იმდენად მაინც უნდა ვენდობოდეთ, რამდენადაც ვენდობით დიდ ვეზირს.

ბერძნის დეპუტატს აქეთ-იქიდან უყვირიან: „მართალს ამბობთ, მართალს!“

ბუსიოსის წინადადებას დეპუტატების უმეტესობამ დაუჭირა მხარი. ისმის ყვირილი: „მიღებულია!“ მაგრამ ახმეტ-რიზამ ხელ-ახლად მოახდინა კენჭის ყრა. დეპუტატების დიდმა ნაწილმა არ მიიღო მონაწილეობა ამ კენჭის ყრაში, ხოლო 51 დეპუტატი მიემხრო წინადადებას. თუმცა 51 დეპუტატი არ შეადგენს პარტიის უმეტესობას, მაგრამ კომისიის წინადადებასაც არ მიემხრო დეპუტატების ორი მესამედი, როგორც დადგენილია საპარლამენტო წესდებით, ამიტომ ბოლოს და ბოლოს პალატამ დაამტკიცა 1876 წლის კონსტიტუციის მუხლი, რომლის თანახმად სულთანს უფლება აქვს მინისტრები გადააყენოს და დანიშნოს.

პალატაში ასტყდა შფოთი და ხმაურობა, აქეთ-იქიდან ყვირიან, რომ პალატამ თავისი წინანდელი დადგენილება დაარღვიაო, რომ ეს მუხლი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სხვა მუხლებსაო. კომისია ესაჩჩლება თავის წინადადებას ცდილობს, რომ პალატამ კენჭი უყაროს შემდეგ საკითხს: სულთანს უფლება აქვს ყოველი თითოეული მინისტრი გადააყენოს, თუ მარტო მთელი სამინისტრო? მაგრამ დარბაზში ისეთი საშინელი ხმაურობა იდგა რომ სხდომის განგრძობა შეუძლებელი იყო და ამიტომ კამათი მეორე დღისთვის გადიდვა.

მეორე დღეს კომისიის მომხსენებელი მჭევრმეტყველად იცავდა კომისიის მიერ შემუშავებულ წინადადებას და ამტკიცებდა, რომ გუშინდელი კენჭის ყრა სწორე არ იყოო. მაგრამ მრავალი ორატორი, წინადვე დამზადებული, თავდადებით გამოესარჩლა სულთნის უფლებას, პირველი, სულთანი—ხალიფი. მეორე, სამინისტროს თვითმპყრობელობა სულთნის თვითმპყრობელობაზე არა ნაკლებ საშიშია. სულთანს და სამინისტროს თანასწორი ძალა უნდა ჰქონდეთ და სამინისტროს ძლიერება უნდა შეიზღუდოს.

— რომელ კონსტიტუციაში იპოვეთ ეგეთი ძალთა თანასწორობა? ეკითხება ბოლგარი დეპუტატი პანჩო-დორევი ბერძნის დეპუტატს ბუსიოს-ეფენდის.

— კონსტიტუციების ჩხრეკა—თქვენი ხელობაა. მე არ შემისწავლია პოლიტიკური მეცნიერება. მე გამოვთქვი აზრი, რომელიც ჩამაგონა ჩემმა სალმა გონებამ და სამშობლოსადმი სიყვარულმა. და თუ თქვენ ჭკუაში მოგდით სამინისტროს თვითმპყრობელობა, დაიკანონეთ იგი, ვინ გიშლით!

კამათი ისე გამწკავდა, რომ სომხის დეპუტატმა ზოჭრაბმა განაცხადა, რომ „თუ სულთანს წაერთმევა უფლება მინისტრების გადაყენებისა, ამით მონარქიულ მმართველობას დემოკრატიულად გადავაქცევთო“. ბოლოს და ბოლოს პალატამ ეს მუხლი ისევ კომისიას გადასცა, ამ დღეებში პალატაში ხელახლად გაიმართება კამათი მის თაობაზე. მაგრამ ეხლავე ცხადია, რომ პარლამენტის წინანდელი სურვილი—მტკიცე საპარლამენტო წესი დავაწესოთო—უკვე გაძქრალა. დეპუტატების უმეტესობა ცდილობს სულთანს ისევ დაუბრუნოს წართმეული უფლების ნაწილი. მათ აშინებს სამინისტროს თვითმპყრობელობა!

## სპარსეთის აჯანყები

**რუსეთის ახალი ელჩი.**

რუსეთის ელჩად სპარსეთში დანიშნა პოკლევსკი-კოზელი, რომელიც დღემდე იყო ლონდონში რუსეთის საელჩოს მრჩევლად.

**ხმა ლიახოვის დამარცხებაზე.**

13 ივნისს ღამით პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ რევოლიუციონერებმა დამარცხეს პოლკოვნიკ ლიახოვის რაზმი. ამბობენ, ვითომ ლიახოვის რაზმს თეირანს ახლო შეტაკება მოუვიდა რევოლიუციონერების ძლიერ რაზმთანაო. გიმართა ფიცხელი ბრძოლა, რევოლიუციონერებმა უკუაგდეს ლიახოვის რაზმი და დიდი ზარალიც მიაყენესო ეს ხმა ჯერ შემოწმებული არაა. („გ. მ“.)

**თეირანზე გალაშქრება.**

თავრიზიდანაც გაგზავნეს რევოლიუციონური რაზმი თეირანზე იერიშის მისატანად. რევოლიუციონერებს უერთდებიან ისპაჰანლებისა, ადერბეიჯანელებისა, და მაზანდერანელების რაზმები.

ბახტიარებიც განაგრძობენ თეირანზე გალაშქრებას. სარდალ ასადმა განაცხადა, რამ შაჰის მიერ გამოცხადებული კონსტიტუცია უბრალო მოტყუებაა.

რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს სარდალ ასადს: 17 ივნისის შუადღემდე უნდა წარმოვიდგინო თუ რა გინდა, რასა თხოულობო, წანააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ქალ. კუმიდან წავალთ და რაც შემდეგ მოხდება, ამის ბრალს თითონ სარდალ ასადს დავაკისრებთო.

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში, პეტერბურგში უთქვამთ „რ. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის:

„ამ წამს, როგორც ეტყობა, უნდა გადასწყდეს სპარსეთის ხანგრძლივ შინაურ ბრძოლის ბედი. იქ დაიწყება დიდი სისხლის ღვრა, რომელმაც იქნება დაჩრდილოს ყველა ის დიდი ამბავი, რომელიც ჩვენ თვალწინ მოხდა ოსმალეთში. სპარსეთის ბევრ ქალაქში ხალხი უკიდურესობამდეა გამწვავებული.

ყველაზე საყურადღებო მოვლენად ამ ჟამად უნდა ჩაითვალოს—ბახტიარების გალაშქრება. ეს მომთა-ბარე, ნახევრად—ველური ერია, დაყოფილი ტომებად, „ბახტ“-ი ჰნიშნავს ბედნიერს, „იარ“—მეგობარს, მაშასადამე ბახტიარი—ჰნიშნავს „ბედნიერების მეგობარს“. წარსულ წლის დამლევს ბახტიარებმა დაიჭირეს ქალ. ისპაჰანი და გამოაცხადეს, „აქედან არ წავალთ, სანამ შაჰი კონსტიტუციას არ აღადგენსო“. ამას წინად პარიზიდან ჩამოვიდა მათი ხანის სამლამუს-სალტანეს ძმა სარდალ-ასადი. მან თან იარაღი მოიტანა და 700 კაცით თეირანისკენ გაილაშქრა. ამბობენ, სარდალ ასადს თითონ უნდა შაჰის ტახტის დაჭერაო.

ამას გარდა თეირანს კაზვინელი რევოლიუციონერებიც ემუქრიან. მეშედშიაც დიდი არეულობა დაიწყო. შაჰი ამ ჟამად იმყოფება საზაფხულო აგარაკში—სულთანაბადში. შაჰის მთელი იმედი დამყარებულია უაზახთა ბრიგადასა და რუსის აფიცრებზე. რუსები ჯერ-ჯერობით არ ჩაერევიან საქმეში, მით უმეტეს, რომ გენ. სნარსკის ცოტა ჯარი ჰყავს. რუსის ჯარის მოვალეობას შეადგენს—წესიერების დაცვა თავრიზში, მაგრამ თუ რუსეთის ქვეშევრდომები ან საზოგადოთ უცხოელები თეირანში განსაცდელში ჩაცვივდენ, რუსეთი თავის საზღვრიდან დიდ ჯარს გაჰგზავნის სპარსეთში.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲮᲔᲑᲘ

**ᲗᲐᲕᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ.**

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲯᲐᲠᲘ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲛᲑᲝᲠᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲒᲐᲛᲑᲝᲠᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ.